ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5643568

ნომერი: AR1856648

თარიღი : 16.10.2021

გაცემის თარიღი : 19.10.2021

გაცნობის თარიღი : 01.11.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N104; ქალაქი თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N104; ქალაქი თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N104; ქალაქი თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N104; ქალაქი თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N104; ქალაქი თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N104; ქალაქი თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N104; ქალაქი თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N104;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რამაზ ჭურაძე პ/ნ 01024075296
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 3 ბ. 33

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ირკვევა, რომ თქვენს მიერ კომპლექსურად ხორციელდება ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები. აღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:
საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქალაქის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ადგილზე, ქალაქგეგმარებით კარკასზე სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს . ასევე გაცნობებთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად კონდიცირების და სხვა მსგავსი მოწყობილობები/დანადგარები უნდა განთავსდნენ შენობის შიგნით, სპეციალურად გამოყოფილ სათავსოებში.

მათი არ არსებობის შემთხვევაში, დასაშვებია მათი განთავსება ექსტერიერის ვიზუალურად ნაკლებად აღქმად ნაწილებზე, ერთიანი მოწესრიგებული სახით. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა მათი შემოსვა-შენიღბვა დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა) და მათი არქიტექტურულ-მხატვრული მხარის ფასადებთან ერთად ერთიან სისტემაში გადაწყვეტა. დაუშვებელია ასეთი მოწყობილობა-დანადგრების განთავსება ქუჩის მხარე ფასადზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ამ ველში უნდა აიტვირთოს საპროექტო ფოტომონტაჟი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათის საფუძველზე დამუშავებული ერთიანი მოწესრიგებული სახით შენიღბული დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა) აღნიშნული ეხება კონდიციონერებს და დანადგარებს, ხოლო რაც შეეხება საპროექტო ღიობების (სავენტილაციო ცხაურების მოწყობას) მოწყობას აღნიშნულისათვის საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

ქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისი №14-39 დადგენილების მუხლი 30. მიწის ნაკვეთზე შენობათა განთავსება შენობის სამეზობლო საზღვრის მხარეს ღიობის საანგარიშო ზედაპირზე მოწყობის სიმაღლე
დამოკიდებულია შენობის სამეზობლო საზღვრის მხარეს არსებულ საანგარიშო ზედაპირსა და სამეზობლო საზღვრის წარმოსახვით ვერტიკალურ სიბრტყემდე უმოკლეს დაშორებაზე ქვემოთ
მოცემული ჩამონათვალის შესაბამისად: 3.0 მ-დან 10 მ-მდე დაშორების შემთხვევაში – შემდეგი ფორმულით:
დაშორება გაყოფილი 0.4-ზე;
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენი გექნებათ შენობის გეგმა და ჭრილი ღიობებზე სიმაღლის ნიშნულების მითითებით (სავარაუდოდ შენობის დაცილება სკადასტრო საზღვრამდე სავარაუდოდ 3 მეტრს შეადგენს)

მოთხოვნის შინაარსის ტექსტურ ნაწილში დეტალურად იქნას ასახული რა სახის სამუშაოებია დაგეგმილი. ასევე საჭიროა მიეთითოს საკადასტრო კოდები (ვისი კუთვნილი ფართის ფასადზე გეგმავთ რეკონსტრუქციას) და ფასადზე კონტურის სახით აისახის საპროექტო ფასადის არეალები მათი მესაკუთრეებისა და საკადასტრო კოდების მითითებით.

მინდობილობა არ არის დამოწმებული, საჭიროა სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობის წარმოდგენა. ამასთან, გაითვალისწინეთ, წარმოდგენილი მინდობილობა ძალაშია 2021 წლის 25 ოქტომბრამდე. ვადის გასვლის

შემდეგ ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელების შემთხვევაში, აუცილებელია განახლებული, ძალაში მყოფი მინდობილობა.

დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.